სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №61/01-01, 30.03. 2018წ.
დანართი №1

2018/2019 სასწავლო წლისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში გრონინგენის უნივერსიტეტის (ნიდერლანდების სამეფო), ლიმერიკის უნივერსიტეტისა (ირლანდია) და ტურკუს უნივერსიტეტის (ფინეთი) მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატთა
შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში სასწავლო სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა 2018/2019 სასწავლო წლისთვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი
კანდიდატები შეირჩევიან სტუდენტებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. სტიპენდიატებს შეარჩევს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

3. კანდიდატების შერჩევა
ა) კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

1. მოტივაცია
2. ზეპირი პრეზენტაცია
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

4. კომისიის შეფასება
ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.
ბ) კანდიდატის მოტივაციისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაცია ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადა-მაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. სტიპენდიატების გამოვლენა
სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.